

GURAM CHIKOVANI

FREE UNIVERSITY OF TBILISI

g.chikovani@freeuni.edu.ge

INTERNATIONAL LEXIS OF ARABIC ORIGIN

Abstract

Arab (Islamic) and Western (Christian) worlds have centuries-old and multilateral cultural-historical relations. The main place among them belongs to linguistic connections. Many Arabic words are found in Georgian, English, Spanish, Portuguese, French, Italian, German, Russian and other languages. Many of them are known in almost every language of the world, mainly in Asia and Europe, as a common term or expression. Frequently some words are so much altered that it is difficult to determine its etymology. Nevertheless, there are many words of Arabic origin recorded in etymological dictionaries. There are frequent inaccuracies that require amendment. While working on the issue of Arabic lexis in the Georgian language, I had an idea of identifying and studying the words that are universal and heard every day, but their Arabic origin remains out of our attention.

Some of these words are presented in this article. In the future, I have an intention to continue working on the issue in the scope of a scientific project.

Keywords: Arabic lexis, race, Egypt, algorithm, traffic.

Arabs hold a special place in East-West relations. As a result of Islamic conquests under the Arab domination, in VII-VIII centuries fell an enormous territory from the Arabian Peninsula to Gibraltar. Arab governance in Mesopotamia, Syria, Egypt, the Caucasus, Iran, and Spain resulted in lively relations. Among them, an important role laid upon cultural relations. The Arabs quickly mastered the knowledge and experience of the peoples of the conquered territories and later developed different directions. They revealed an unusual insight ability, which became evident in scientific and philosophical achievements. The Abbasid period is distinguished in the history of the Arabs in terms of intellectual resurgence. During the VIII-IX centuries, Baghdad represented the world's cultural capital. This city is identified as the golden age of Islamic revival. During the reign of caliph Harun al-Rashid (786-809) in Baghdad was established the "House of Wisdom" (*Bayt al-Hikma* - بيت الحكمة), which soon became a research-translating center. The "House of Wisdom" became especially famous during the reign of Harun al-Rashid's successor, caliph al-Ma'mun (813-833). Al-Ma'mun brought together the scholars in Baghdad regardless of their religion and encouraged them to conduct their researches at *Bayt al-Hikma*. His name is associated with the opening of the astronomical observatory and developing such scientific fields as astronomy, mathematics, medicine, chemistry, alchemy, geography, zoology and cartography. As a result of translations from Greek, Syriac, Persian, and Indian, "*Bayt al-Hikma*" has brought together the entire world's knowledge of science and philosophy of that time. As regards the translations, it should be noted that translation activities, along with the sharing of knowledge and artistic ideas, greatly contributes to linguistic relations and enriches the lexis of the language.

The second big wave of translation activity in connection with the Arab world occurs in Spain after Archbishop Raymond I (1126-52) founded the translation center in Toledo. From 1135 to 1284, this center worked very intensively (Hitti 1970, 588). The treatises of Arabs and Arabic-speaking scientists and philosophers were translated to Latin. Among them were Ibn Rushd (Averroes), Avicenna, al-Kh(a)warizmi, al-Kindi, and al-Farabi. Philosophical treatises of Aristotle, Hippocrates, Euclid, and Ptolemy were also translated from Arabic to Latin. It is noteworthy that many Greek philosophic and scientific medical works, which were lost in their originals, were preserved through Arabic translations. For example, Aristotle's treatise "On Stones", Galen's "On Epidemics" and others. The above-mentioned allows us to conclude that in the Middle Ages the West familiarized with Greek philosophy mainly through Arabic translations. An objective view of this period reveals a huge influence of Arabs and Arabic-speaking thinkers on Western culture. It is also noteworthy that for the Arabs, sharing and spreading the knowledge accumulated in educational centers established by them was particularly

important. They did not choose the translated literature on religious grounds, but according to the value of philosophical or scientific thought. The fact that the research and intellectual product was put on the highest level, contributed to the global scale of knowledge, provoked spreading and put it to the service of humankind. This merit undoubtedly belongs to the Arabs. In the Middle Ages, they removed religious and political barriers and gave priority to intellectual manifestations, regardless of that to whom it belongs.

The above-mentioned makes it obvious that Europe, the West, has not only Greco-Roman, or if you like, Jewish-Christian roots, but it also relies on Arab-Islamic civilization.

I have already said that translation activity contributes to the enrichment of the language lexis. Moreover, the existence of the lexis of Arabic origin in European languages becomes more understandable, taking into consideration multilateral and centuries-old relations of Arabs with the West. Let me illustrate some of them as examples:

Race:

This word is an anthropological term and refers to groups of people with different physical characteristics. Here, a form of the skull, skin color, eye color, stature and more are implied. Johann Friedrich Blumenbach in his classic work gave us a detailed characteristic of white, or Caucasian (Caucasoid), yellow (Mongoloid) and black (Negroid) races (Blumenbach 1817). The distinction between race and ethnos is in the following: race – is a physical distinction between groups of people, and ethnos – is a common cultural-linguistic union of human beings, defined by national signs. In anthropology, the term “Caucasian race” was established by Friedrich Blumenbach who classified races according to the skulls, which were at his disposal. Caucasoid race besides Indo-European (Aryan) includes Semitic, Hamitic (Berber), Dravidian, the Baltic and other groups.

Webster’s dictionary explains the word “race” as follows: “*race* *n* [MF, generation, fr. *Olt razza*] 1 : a breeding stock of animals 2 *a* : a family, tribe, people, or nation belonging to the same stock *b* : a class or kind of people unified by community of interests, habits, or characteristics <the English ~> 3 *a* : an actually or potentially interbreeding group within a species; also *a* : taxonomic category (as a subspecies) representing such a group *b* : BREED *c* : a division of mankind possessing traits that are transmissible by descent and sufficient to characterize it as a distinct human type 4 *abs* : inherited temperament or disposition 5 : distinctive flavor, taste, or strength” (Webster’s New Collegiate Dictionary 1973, 950).

“Race” also means „*the act of running... to go or move at top speed or out of control... race-horse... n: a horse bred or kept for racing*” (Webster’s New Collegiate Dictionary 1973, 950).

We are not going to demonstrate this word in different languages, as it is widespread in the world as an anthropological term denoting race.

The Encyclopedia Britannica emphasizes that for today, “race”, as a term expressing groups of people different from each other, is less scientific and depicts outdated methods of differentiation. There is no pure race in nature and any human type, either Caucasoid, or Mongoloid, or Negroid, is eventually received as a result of the merger of different racial groups. The term “race” has now more and more social load. Frequently it is identifying a group of people or a class, which is distinguished by certain physical and cultural-historical characteristics (Britannica Concise Encyclopedia 2006, 1581). It should also be noted that “race” is associated with today’s widespread term “racism”.

Regarding the origin of “race”, the dictionaries provide us with different information. In some dictionaries “race” is etymologically related to the Middle French *race*, the oldest version of which – *razza* is fixed in the XVI century: “race”, “breed”, “genealogy”, “origin”, “lineage” (<http://www.dictionary.com/browse/race>). In Italian, we find *razza*. In Spanish and Portuguese, there is *raza*. The meaning in these languages is similar, but the etymology, according to the opinion of specialists, is unidentified.

In my opinion, it is very important to note that Ernest Weekley in his “An Etymological Dictionary of Modern English” has a reference to the possible connection of the word “race” with the Arabic language: “*race*². *Tribe, family. F. earlier (16 cent.) rasse, it. razza (14 cent.), Sp. Port. rása, ? from Arab. rās, head, origin*” (Weekley 1921, 1190).

Scientific circles consider the mentioned work (An Etymological Dictionary of Modern English (1921)) by British lexicologist Ernest Weekley as classical. For the researchers of English and Indo-European languages, in general, it represents the same source as Sulxan Saba Orbeliani’s “Glossary” for the researchers of Georgian studies. British linguist Simeon Potter in his book “Language in the Modern

World” also connected the anthropological term “race” with Arabic *ra’s*: “Race, as hitherto conceived, is thus eagerly a delusion. The word itself came into Tudor English from Arabic *ra’s* ‘head’ by way of Spanish *raza* or Portuguese *raça* and French *race*” (Potter 1968, 23). Online Etymological Dictionary (www.dictionary.com) also suggests an Arabic version of the etymology of “race”: “Klein suggests these derive from Arabic *ra’s* ‘head, beginning, origin’” (<http://www.dictionary.com/browse/race>).

Based on aforementioned, I agree with Arabic origin of the anthropological term “race”¹. *ra’s* is an Arabic word and its main dictionary meaning is “head”: “*ra’s* m. and f., pl. *ru’ūs*, ar’us head... chief, chieftain, head, leader... main part” (Wehr 1976). Phonetically the loss of *hamza* in the word *ra’s* is natural. In the Indo-European linguistic range, Arabic *ra’s* with simple phonetic modifications would give us the form *ras*: *ra’s* > *rās* > *ras*. Subsequently, we got in French *razza/race*, in Italian *razza*, in Spanish and Portuguese *raza*. The connection of the term “race” with Arabic “head” (*ra’s*) is also noteworthy from the point of view that Friedrich Blumenbach had been making the racial differentiation according to characteristics of the skulls.

Egypt:

In Georgian sources of the classical period and later literary monuments, Egypt is mainly referred as “Misr”, which is connected with the Arabic name of the country.

Naturally, the question arises where the name of the country Egypt came from.

Simeon Potter indicates that Egypt is etymologically connected with the word Copt (Potter 1968, 112). Copt is pronounced in Arabic as *qibt* (pl. *’aqbāt*). In my opinion, *i-qibt* gives *i-ǧibt* as follows: *il-qibt* > *i-gibt* > *i-ǧibt*. Egypt means – the country of Copts. The Copts are Christian Egyptians. They lived in Egypt even before Islam and spoke the oldest Coptic language which is now preserved in the Coptic Church. The Monophysite Coptic Church continues its functioning in Egypt. In pre-Islamic Egypt, the influence of the Copts and the Coptic Church on the country was great. After the spread of Islam, the Copts have maintained their religion and uniqueness at the cost of great struggle. Therefore, it is quite natural that according to the oldest tradition, local Christians and foreigners perceived Egypt as the country of Copts.

Let me go back to the phonetic part of the issue, in particular, I will try to explain the transformation of the Arabic *qāf* (ق) into “g” consonant to make reliable the connection between *i-qibt* and *E-gypt*.

Phonetically Arabic dialects are divided into two linguistic groups – *qeltu//qaltu* and *gelet* (Blank 1964, 5). It is a result of the diverse pronunciation of *qāf* by different ethnic, urban and religious groups. The features of the *gelet* dialect are close to the area of the spreading of Arabic dialects that unites the entire Arab world’s desert. It covers several Arab cities and settlements, where at different times, due to historical circumstances, nomadic Bedouins were settled. They mixed with the local population. As a result of linguistic interactions, the *gelet* dialect was developed with different from the *qeltu* dialect linguistic characteristics.

Proceeding from the previously mentioned, in pronunciation of *i-qibt* emphatic uvular *qāf* was replaced by voiced velar consonant *g* and thus we received *i-gibt*. Subsequently in pronunciation *i-gibt* was replaced by a palatal, voiced affricate *ǧ*. The palatalization of the velar consonant is phonetically allowable in the speech of nomadic Arabs. It is also natural for the English language. Thus, we got *i-ǧibt* (Egypt).

Let me bring another similar example. There are seven emirates in the United Arab Emirates. One of them is Sharjah. Its Arabic name is *aš-šāriqa* (الشارقة). The population of Sharjah speaks Arabic dialect of nomadic Bedouins and their dialect is close to the *gelet* Arabic dialect. They pronounce *qāf* as voiced *g*. Accordingly, in the locals’ speech, we get *aš-šāriqa*. In the pronunciation of nomadic Arabs, *g* was replaced by *ǧ*: *aš-šāriqa* > *sharjah* (*Sharjah*). It can be assumed that the same process had simultaneously developed in English pronunciation as well. At the same time, the consonant defined by *al-* article and assimilated with the first consonant *š* of the word was lost together with the vowel and we got *sharjah*. This name of the emirate spread all over the world and now the Arabs of the Emirates, as well as the Arabs of other countries instead of *aš-šāriqa* or *aš-šāriqa*, write and pronounce *Sharjah* in English.

¹ In Modern Literary Arabic, dictionary forms denoting race are – *ǧins* (pl. *’aǧnās*), *’irq* (pl. *’urūq*) and *’unṣur* (pl. *’anāšir*).

Algorithm:

The term “algorithm” is connected with the name of the IX century’s prominent mathematician, Muhammad Ibn Musa al-Khwarizmi (*muhammad al-musa al-xawārizmī* – محمد ابن موسى الخوارزمي) (also known as al-Khwarazmi or al-Khorezmi). It is a phonetic version of *al-x(a)wārizmī* established in the Latin language: *al-x(a)wārizmī* > *al-xwārizmī* > *al-xwarizmi* > *al-xorezmī* > *al-xorizmi* > *algorizmi* > *algoriŕm* (*Algorithm*). As we can see, “algorithm” represents an interesting occasion of creating a mathematical term out of the proper name, which is due to the special contribution to the development of mathematics made by the Arabic speaking Muslim scholar of Persian origin. Algorithms are related to calculations, which are so relevant for modern computer researches. The fact that today the digital world is built on algorithms is very significant.

Al-Khorezmi lived in Bagdad during the Abbasid period, working in the famous Bayt al-Hikma, which was the center of science and philosophy in the Middle Ages. Besides mathematics, Al-Khorezmi is the author of the fundamental papers in astronomy and geography. In 1145, the translation of his thoughts to Latin allowed the development of mathematics in Europe. The author of the Latin translation is Robert of Chester (http://www.wilbourhall.org/pdfs/Robert_of_Chester_s_Latin_Translation_of.pdf).

In “algorithm”, *al-* represents the Arabic definite article. Khorezmi – means from Khwarazm (*xwarazmī* – الخوارزمي). Khwarazm is a region in the south of Central Asia, i.e. today’s Khiva. Muhammad Ibn Musa al-Kh(a)warizmi was born in Khwarazm in 780. He moved to Bagdad in his youth and spent there his whole life. He died in 850.

Algebra:

The Baghdati mathematician, Muhammad al-Khawarizmi, is the author of the classical Arabic treatise on mathematics entitled “The Compendious Book on Calculation by Completion and Balancing” (*الكتاب المختصر في حساب الجبر والمقابلة* - *al-kitāb al-muxṭaṣar fī ḥisāb al-ğabr wa al-muqābala*). Here the word *al-ğabr* mentioned by the author is translated from Arabic as “completion” (“completion of the separated parts”) and in the sentence, it is presented by the definite article *al-* (*al-ğabr*) in the preposition of the word. Thus, after the translation of Muhammad al-Khawarizmi’s treatise to Latin (*Liber Algebrae et Al-muqabala*), the term algebra spread all over Europe, as a term referring to one of the major parts of mathematical science. This work was the main textbook of mathematics in European Universities until the XVI century.

The main task in algebra is to solve the unknown, expressed by *x*. *x* is graphically connected with the Arabic consonant “*shin*” (ش). In Arabic, there is a word *šayy’un* with the meaning “something”, “anything”. The first consonant of this word is “*shin*” (*šīn* ش). From here comes the overall known *x* expressing the unknown, which has spread to the rest of the world from old Spanish, where the Arabic *šayy’* meant “unknown” (Yushmanov 1985, 25). However, there is a different opinion. It is recorded in the 1909-1916 edition of Webster’s Dictionary. According to the definition, the Arabic *šayy’un* was based on the Greek translation of the word (*χελ*) and later shortened to *x* (<https://gizmodo.com/why-we-use-x-as-the-unknown-in-math-1657254357>).

Zero (Cipher):

Arabic meaning of cipher (*ṣifr* - صفر) is “zero”, “naught”, “emptiness”, “nothing”. In Medieval Latin, it meant “zero”; from here, it spread to Spanish, and later to Indo-European and other languages. Comp. Georgian “*tsifri*”.

Traffic:

Today traffic is a widely spread term. It is connected with motion, transport, often with congestion. In the Explanatory Dictionary of English language, there is a reference to the Arabic origin of the word, namely it is etymologically associated with Arabic *taraffāqa*: “*traffic*, *F. trafic*, *It. traffico*, from *trafficare* (early 14 cent.); cf. *Sp. Port. traficar*. A Mediterranean word of uncertain origin. ? VL. **traficare*, from *trans* and *facere* (cf. *transigere*, to transact), ? or Arab. *taraffāqa*, to seek profit. Now often with suggestion” (Weekley 1924, 765). The meaning of the Arabic word *taraffāqa* “doing quietly, leisurely, unhurried” is less corresponding to “traffic”. Though in Hans Wehr’s Dictionary there is a phrase *taraffāqa fī sairihī* (ترقق في سيره) “to walk slowly, stroll, saunter” (Wehr 1976, 351), which to a certain extent is a hint to a motion.

The word traffic is observed in Italian at the beginning of the XIV century. In the records of the port of Pisa of 1320, occur the noun *traffico* and the verbal form *trafficare*. As for its etymology, it should be of Arabic origin and its connection with Arabic *tafriq* is more convincing (<http://www.dictionary.com/browse/traffic>).

I think we should assume reliable Arabic origin of the word traffic and its origination from the masdar (*tafriq* - تفریق) of the second stem (*farrāqa*) of the Arabic verb *faraqa* (*u*) the meaning of which is “separation”, “division”, “distribution”, i.e. relocation of people and transport.

The etymology of the presented words is an illustration of linguistic relations between Arabic and European languages, which start from the ancient times and include pre-medieval and subsequent long periods. Continuation of the research in this direction promises interesting results.

Discussed words represent evidence of Eastern-Western cultural-historical relations and prove the existence of the inflow of Arabic lexis in the Western linguistic world. Arabic lexical layer in English, Spanish, French, and other European languages is registered at different levels of language development and finds its expression in cultural, scientific, geographic, and on the level of marine terminology, as well as in proper names and household terms. Many believe that East and West will never meet. As proof, they bring Rudyard Kipling's words, with which the American writer and poet begins his famous “The Ballad of East and West”. I would like to advise them to read thoroughly the famous work that ends thus:

*“Oh, East is East, and West is West, and never the twain shall meet,
Till Earth and Sky stand presently at God's great Judgment Seat;
But there is neither East nor West, Border, nor Breed, nor Birth,
When two strong men stand face to face, though they come from the ends of the earth!”*

(http://www.literaryballadarchive.com/PDF/Kipling_2_B_of_East_and_West.pdf)

The material reviewed above shows that East and West had already met many centuries ago. Their relationship had not been interrupted over time and as a result of cultural relations and mutual influences, was largely reflected in linguistic relationships.

References:

- Blank, Haim. 1964. *Communal Dialects in Baghdad*. Cambridge, Massachusetts.
- Blumenbach, I.F. 1817. *Rukovodstvo k estestvennoj istorii D. Ioganna Fridrixa Blumenbaxa*, ch. 1-3, Sankt-Peterburg: tipografiya Imperatorskoj Akademii nauk.
- Britannica Concise Encyclopedia. 2006 by Encyclopaedia Britannica, Inc.
- Hitti, Philip K. 1970. *History of the Arabs*. London: Macmillan Education LTD.
- Potter, S. 1968. *Language in the Modern World*. Penguin Books.
- Robert of Chester's Latin Translation of the Algebra of al-Khowarizmi with an Introduction, Critical Notes and an English Version by Louis Charles Karpinski. 1915. University of Michigan, New York, The Macmillan Company, London: Macmillan and Company Limited (http://www.wilbourhall.org/pdfs/Robert_of_Chester_s_Latin_Translation_of.pdf)
- Webster's New Collegiate Dictionary. 1973. A Merriam - Webster, G. & C. Merriam Company, Springfield, Massachusetts, U.S.A.
- Weekley, Ernest. 1921. *An Etymological Dictionary of Modern English*. London, John Murray, Albemarle Street, W.
- Wehr, Hans. 1976. *Arabic-English Dictionary. The Hans Wehr Dictionary of Modern Written Arabic edited by J. M. Cowan*. Ithaca New York: Spoken Language Services Inc.
- Yushmanov, N.V. 1985. *Grammatika literaturnogo arabskogo yazika*. Moskva: izdatel'stvo Nauka. <http://www.dictionary.com/browse/race>
<http://www.dictionary.com/browse/traffic>
<https://gizmodo.com/why-we-use-x-as-the-unknown-in-math-1657254357>
http://www.literaryballadarchive.com/PDF/Kipling_2_B_of_East_and_West.pdf

გურამ ჩიკოვანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

g.chikovani@freeuni.edu.ge

არაბული წარმომავლობის საერთაშორისო ლექსიკა

რეზიუმე

არაბულ (ისლამურ) და დასავლურ (ქრისტიანულ) სამყაროთა შორის მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობები არსებობს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ენობრივ კავშირებს. ქართულ, ინგლისურ, ესპანურ, პორტუგალიურ, ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ, რუსულ და სხვა ენებში ფიქსირდება მრავალი არაბული სიტყვა. არაერთი მათგანი მსოფლიოს, ძირითადად აზიისა და ევროპის თითქმის ყველა ენაშია გავრცელებული საყოველთაოდ ცნობილი ტერმინის, ან გამოთქმის სახით. ხშირად ესა თუ ის სიტყვა ისეა სახეშეცვლილი, რომ ჭირს მისი ეტიმოლოგიის დადგენა. მიუხედავად ამისა, ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში მრავალი არაბული წარმომავლობის სიტყვა არის დაფიქსირებული. ხშირია უზუსტობები, რაც შესწორებას მოითხოვს. ქართულ ენაში არაბული ლექსიკის საკითხზე მუშაობისას დამებადა იმ სიტყვების გამოვლენისა და შესწავლის იდეა, რომლებიც საყოველთაოა, გვესმის ყოველდღე, მაგრამ ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება მათი არაბული წარმომავლობა.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ზოგიერთი მათგანი. მომავალში საკითხზე მუშაობა შეიძლება გაგრძელდეს სამეცნიერო პროექტის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: არაბული ლექსიკა, რასა, ეგვიპტე, ალგორითმი, თრეფიკი.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ არაბებს. ისლამური დაპყრობების შედეგად VII-VIII საუკუნეებში არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა უკიდევანო ტერიტორია არაბეთის ნახევარკუნძულიდან გიბრალტარამდე. არაბთა მმართველობას შუამდინარეთში, სირიაში, ეგვიპტეში, კავკასიაში, ირანსა და ესპანეთში შედეგად მოჰყვა გაცხოველებული ურთიერთობები. მათ შორის მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა კულტურულ კავშირებს. არაბებმა სწრაფად აითვისეს დაპყრობილი ქვეყნების ხალხთა ცოდნა, გამოცდილება და შემდგომში განავითარეს სხვადასხვა მიმართულებები. მათ აღმოაჩინდათ წვდომის არაჩვეულებრივი უნარი, რაც გამოიხატა მეცნიერებისა და ფილოსოფიის განხრით თვალსაჩინო მიღწევებში.

აბასიანთა პერიოდი გამორჩეულია არაბთა ისტორიაში ინტელექტუალური აღმავლობის თვალსაზრისით. ბაღდადი VIII-IX საუკუნეებში მსოფლიოს კულტურულ დედაქალაქს წარმოადგენდა. ამ ქალაქთან არის გაიგივებული ისლამური აღმავლობის ოქროს ხანა. ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის მმართველობის პერიოდში (786-809) ბაღდადში დაარსდა „სიბრძნის სახლი“ („ბაით ალ-ჰიქმა“ – بيت الحكمة), რომელიც მალე გადაიქცა კვლევით-მთარგმნელობით ცენტრად. განსაკუთრებით მოიხვეჭა სახელი „სიბრძნის სახლმა“ ჰარუნ არ-რაშიდის მემკვიდრის, ხალიფა ალ-მა'მუნის მმართველობის დროს (813-833). ალ-მა'მუნმა ბაღდადში თავი მოუყარა სწავლულებს განურჩევლად მათი რელიგიისა და წაახალისა ისინი ბაით ალ-ჰიქმაში კვლევების ჩასატარებლად. მის სახელს უკავშირდება ასტრონომიული ობსერვატორიის გახსნა და მეცნიერების დარგების განვითარება, კერძოდ ასტრონომიის, მათემატიკის, მედიცინის, ქიმიის, ალქიმიის, გეოგრაფიის, ზოოლოგიის და ასევე, კარტოგრაფიის. ბერძნულიდან, სირიულიდან, სპარსულიდან და ინდურიდან შესრულებული თარგმანების შედეგად „ბაით ალ-ჰიქმაში“ თავი მოიყარა იმდროინდელ

მსოფლიოში დაგროვებულმა მთელმა ცოდნამ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში. რაც შეეხება, თარგმანებს, უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა, ცოდნის, მხატვრული შემოქმედების გაზიარებასთან ერთად, დიდად უწყობს ხელს ენობრივ ურთიერთობებს, ენის ლექსიკის გამდიდრებას.

მთარგმნელობითი აქტივობის მეორე დიდი ტალღა არაბულ სამყაროსთან მიმართებაში თავს იჩენს ესპანეთში მას შემდეგ, რაც არქივისკოპოსმა რაიმონდ I-მა (1126-52) ტოლედოში დააარსა მთარგმნელობითი ცენტრი. 1135 წლიდან 1284 წლამდე ცენტრი განსაკუთრებული ინტენსივობით მუშაობდა (Hitti 1970, 588). ლათინურად ითარგმნა არაბი და არაბულენოვანი მეცნიერებისა და ფილოსოფოსების ტრაქტატები. მათ შორის იზნ რუშდი (ავეროესი), ავიცენა, ალ-ხ(ა)ვარიზმი, ალ-ქინდი, ალ-ფარაბი. არაბულიდან ლათინურად ითარგმნა აგრეთვე არისტოტელეს, პიპოკრატეს, ევკლიდეს, პტოლემეს ფილოსოფიური ტრაქტატები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი ბერძნული ფილოსოფიური და სამეცნიერო, სამედიცინო ნაშრომი, რომელიც დაიკარგა ორიგინალში, შემოგვინახა არაბულმა თარგმანმა. მაგალითად, არისტოტელეს „ტრაქტატი ქვების შესახებ“, გალენის „ეპიდემიების შესახებ“ და სხვა. აღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ დასავლეთი შუა საუკუნეებში, ძირითადად, არაბული თარგმანების საშუალებით გაეცნო ბერძნულ ფილოსოფიას. ობიექტურად თუ შევხედავთ ხსენებულ პერიოდს, არაბ, არაბულენოვან მოაზროვნეთა დიდი ზეგავლენა იკვეთება დასავლურ კულტურაზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაბები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მათ მიერ დაარსებულ საგანმანათლებლო ცენტრებში დაგროვებული ცოდნის გაზიარებას, გავრცელებას. ისინი რელიგიური ნიშნით არ არჩევდნენ სათარგმნ ლიტერატურას, არამედ, იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ ღირებული იყო ფილოსოფიური თუ სამეცნიერო ნააზრევი. ის, რომ კვლევას, ინტელექტუალურ პროდუქტს ყველაზე მაღლა აყენებდნენ, ამან ხელი შეუწყო ცოდნის გლობალურ მასშტაბურობას, განაპირობა მისი გავრცელება და კაცობრიობის სამსახურში ჩაყენება. ეს უდავოდ არის არაბთა დამსახურება. შუა საუკუნეებში მათ მოხსნეს რელიგიური და პოლიტიკური ბარიერები და პრიორიტეტი მიანიჭეს ინტელექტუალურ გამოვლინებებს, განურჩევლად იმისა, თუ ვის ეკუთვნოდა იგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ ევროპას, დასავლეთს არა აქვს მხოლოდ ბერძნულ-რომაული, გნებავთ, იუდეურ-ქრისტიანული ფესვები, არამედ იგი ეყრდნობა აგრეთვე არაბულ-ისლამურ ცივილიზაციასაც.

როგორც აღვნიშნე, მთარგმნელობითი საქმიანობა ხელს უწყობს ენის ლექსიკის გამდიდრებას. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ არაბთა მრავალმხრივ და მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს დასავლეთთან, გასაგები ხდება ევროპულ ენებში არაბული წარმომავლობის ლექსიკის არსებობა. საილუსტრაციოდ წარმოვადგენ, ნიმუშების სახით, რამდენიმე მათგანს:

რასა (ინგლ. *race*):

სიტყვა წარმოადგენს ანთროპოლოგიურ ტერმინს და აღნიშნავს ფიზიკური ნიშნით განსხვავებულ ადამიანთა ჯგუფებს. აქ იგულისხმება თავის ქალის ფორმა, კანის ფერი, თვალის ფერი, აღნაგობა და სხვა. იოჰან ფრიდრიჰ ბლუმენბახმა თავის კლასიკურ ნაშრომში მოგვცა თეთრი, ანუ კავკასიური (კავკასოიდური), ყვითელი (მონღოლოიდური) და შავი (ნეგროიდული) რასების დეტალური დახასიათება (Блуменбах 1817). რასასა და ეთნოსს შორის განსხვავება არის ის, რომ რასას საფუძვლად უდევს ადამიანთა ჯგუფებს შორის ფიზიკური განსხვავება, ხოლო ეთნოსი საერთო კულტურულ-ენობრივი, ეროვნული ნიშნებით განსაზღვრული ადამიანთა გაერთიანებაა. ტერმინი „კავკასიური რასა“ ანთროპოლოგიაში დაამკვიდრა ფრიდრიჰ ბლუმენბახმა, რომელმაც მის ხელთ არსებული თავის ქალების მიხედვით მოახდინა რასების კლასიფიკაცია. კავკასოიდური რასა ინდოევროპელების (არიელების) გარდა მოიცავს სემიტებს, ქამიტებს (ბერბერებს), დრავიდებს, ბალტიელებს და სხვა ჯგუფებს.

„რასა“ ვებსტერის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ტომი“, „ხალხი“, საერთო ნიშნებით გაერთიანებული ადამიანების გარკვეული ჯგუფი: *“race n [MF, generation, fr. Olt razza] 1 : a breeding stock of animals 2 a : a family, tribe, people, or nation belonging to the same stock b : a class or kind of people unified by community of interests, habits, or characteristics <the English ~> 3 a : an actually or potentially interbreeding group within a species; also a : taxonomic category (as a subspecies) representing such a group b : BREED c : a division of mankind possessing traits that are transmissible by descent and sufficient to characterize it as a distinct human type 4 abs : inherited temperament or disposition 5 : distinctive flavor, taste, or strength”* (Webster’s New Collegiate Dictionary 1973, 950).

Race ასევე ნიშნავს დოღს, მარულას: *„the act of running... to go or move at top speed or out of control... race-horse... n: a horse bred or kept for racing”* (Webster’s New Collegiate Dictionary 1973, 950).

ჩვენ არ შევუდგებით ამ სიტყვის წარმოჩენას სხვადასხვა ენებში, ვინაიდან, იგი ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში, როგორც რასის აღმნიშვნელი ანთროპოლოგიური ტერმინი.

ბრიტანეთის ენციკლოპედიაში ხაზგასმულია, რომ დღეისათვის „რასა“, როგორც ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანთა ჯგუფების გამომხატველი ტერმინი ნაკლებად მეცნიერულია და დიფერენციაციის მოძველებულ მეთოდებს ასახავს. სუფთა რასა ბუნებაში არ არსებობს და ნებისმიერი ადამიანური ტიპი, კავკასიიდური იქნება ის, მონღოლოიდური თუ ნეგროიდული, საბოლოო ჯამში, სხვადასხვა რასობრივი ჯგუფის შერწყმის შედეგად არის მიღებული. ტერმინი „რასა“ ამჟამად, სულ უფრო მეტად, სოციალური დატვირთვის მატარებელია. ხშირად მისი საშუალებით ხდება იდენტიფიცირება ადამიანთა ჯგუფის, გნებავთ, იმ კლასის, რომლებიც გარკვეული ფიზიკური და კულტურულ-ისტორიული მახასიათებლებით გამოირჩევა (Britannica Concise Encyclopedia 2006, 1581). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რასას უკავშირდება თანამედროვე მსოფლიოში დღეს ფართოდ გავრცელებული ტერმინი „რასიზმი“.

რასის წარმომავლობასთან დაკავშირებით ლექსიკონები გვაწვდიან არაერთგვაროვან ინფორმაციას. ზოგიერთ ლექსიკონში „რასა“ ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია საშუალო ფრანგულ *race*-თან, რომლის უფრო ძველი, XVI საუკუნეში დაფიქსირებული ვარიანტია *razza*: „რასა“, „ჯიმი“, „გენეალოგია“, „წარმოშობა“, „წარმომავლობა“ (<http://www.dictionary.com/browse/race>). იტალიურში ფიქსირდება *razza*. ესპანურსა და პორტუგალიურში *raza*. მნიშვნელობა ამ ენებში ანალოგიურია, ეტიმოლოგია კი, სპეციალისტების აზრით, დაუდგენელი.

ჩემი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია ერნსტ ვიქლის (Ernest Weekley) „თანამედროვე ინგლისურის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ არსებული მინიშნება სიტყვა „რასის“ არაბულთან შესაძლო კავშირის შესახებ: *“race². Tribe, family. F. earlier (16 cent.) rasse, it. razza (14 cent.), Sp. Port. rasa, ? from Arab. rās, head, origin”* (Weekley 1921, 1190).

ბრიტანელი ლექსიკოლოგის, ერნსტ ვიქლის დასახელებული ნაშრომი (An Etymological Dictionary of Modern English (1921)) კლასიკურ ნაშრომად ითვლება სამეცნიერო წრეებში. იგი ისეთივე წყაროა ინგლისური და საერთოდ, ინდოევროპული ენების მკვლევართათვის, როგორც სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ ქართველოლოგებისთვის.

ბრიტანელმა ლინგვისტმა სიმეონ პოტერმა ანთროპოლოგიური ტერმინი „რასა“ ასევე დაუკავშირა არაბულ *ra’s*-ს თავის წიგნში „ენა თანამედროვე სამყაროში“: *„Race, as hitherto conceived, is thus eagerly a delusion. The word itself came into Tudor English from Arabic ra’s ‘head’ by way of Spanish raza or Portuguese raça and French race”* (Potter 1968, 23). ეტიმოლოგიური ლექსიკონი [dictionary.com](http://www.dictionary.com/browse/race) ასევე უთითებს რასის ეტიმოლოგიის არაბულ ვერსიასაც: *„Klein suggests these derive from Arabic ra’s ‘head, beginning, origin”* (<http://www.dictionary.com/browse/race>).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მისაღებად უნდა ჩაითვალოს ანთროპოლოგიურ ტერმინ „რასის“ არაბულ წარმომავლობა¹. *ra's* არაბული სიტყვაა და მისი ძირითადი სალექსიკონო მნიშვნელობაა „თავი“: *‘ra’s m. and f., pl. ru’ūs, ar’us head... chief, chieftain, head, leader... main part’* (Wehr 1976). ფონეტიკურად სიტყვაში *ra's* ჰამზის ჩავარდნა ბუნებრივია. ინდოევროპულ ენობრივ არეალში არაბული *ra's* მარტივი ფონეტიკური სახეცვლილებით მოგვეცემა *ras* ფორმას: *ra's > rās > ras*. შემდგომში მივიღეთ: ფრანგულში *razza/race*, იტალიურში *razza*, ესპანურსა და პორტუგალიურში *raza*. ტერმინ „რასის“ დაკავშირება არაბულ „თავთან“ (*ra's*) იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ ფრიდრიჰ ბლუმენბახი რასების დიფერენციაციას თავის ქალის მახასიათებლების მიხედვით ახდენდა.

ეგვიპტე (Egypt):

ეგვიპტე ქართულ წყაროებში, კლასიკური ხანისა და შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ ძეგლებში, ძირითადად „მისრეთად“ არის მოხსენიებული, რაც ქვეყნის არაბულ სახელწოდებას უკავშირდება: „ინდოეთს მისრით მოსრულთა გვივლია გზა უგრძესია“ („ვეფხისტყაოსანი“, 1588, 4)².

ბუნებრივია, იზადება კითხვა, თუ საიდან გაჩნდა ქვეყნის სახელწოდება ეგვიპტე (ინგლისურად *Egypt*).

სიმეონ პოტერი (Simeon Potter) უთითებს, რომ ეგვიპტე ეტიმოლოგიურად კოპტთან არის დაკავშირებული (Potter 1968, 112). კოპტი არაბულად გამოითქმის, როგორც *qibt* (მრ. *'aqbāt*). ჩემი აზრით, *i-qibt* გვაძლევს *i-ǧibt*-ს შემდეგნაირად: *il-qibt > i-ǧibt > i-ǧibt*. *Egypt* ნიშნავს კოპტების ქვეყანას. კოპტები ქრისტიანი ეგვიპტელები არიან. ისინი ჯერ კიდევ ისლამამდელ ეგვიპტეში ცხოვრობდნენ და ლაპარაკობდნენ უძველეს კოპტურ ენაზე, რომელიც ამჟამად კოპტურ ეკლესიაშია შემორჩენილი. მონოფიზიტური კოპტური ეკლესია დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას ეგვიპტეში. ისლამამდელ ეგვიპტეში დიდი იყო ქვეყანაში კოპტების, კოპტური ეკლესიის გავლენა. კოპტებმა, ისლამის გავრცელების შემდეგაც, დიდი ბრძოლის ფასად, შეინარჩუნეს თავიანთი რელიგია და თვითმყოფადობა. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ უძველესი ტრადიციის თანახმად, ეგვიპტე კოპტების ქვეყნად აღიქმებოდა ადგილობრივი ქრისტიანებისა და უცხოელების მიერ.

საკითხთან დაკავშირებით დავუბრუნდები ფონეტიკურ ნაწილს, კერძოდ, შევეცდები ავხსნა არაბული *qāf*-ის (ق) „ჯ“ თანხმოვნად ტრანსფორმირება, რათა სარწმუნო გახდეს კავშირი *i-qibt*-სა და *E-gypt*-ს შორის.

არაბული დიალექტები ფონეტიკური თვალსაზრისით იყოფა ორ, *qeltu//qaltu* და *gelet* ენობრივ სივრცეებად (Blank 1964, 5). ამოსავალს წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური, ურბანული და რელიგიური ჯგუფების მიერ *qāf*-ის განსხვავებული წარმოთქმა. *gelet* დიალექტის მახასიათებლები ახლოა არაბული დიალექტების გავრცელების იმ არეალთან, რომელიც აერთიანებს არაბული სამყაროს მთელ უდაბნოეთს. იგი მოიცავს გარკვეულ არაბულ ქალაქებსა და დასახლებებს, სადაც სხვადასხვა დროს, ისტორიულ გარემოებათა გამო დამკვიდრდნენ მომთაბარე ბედუინები. ისინი შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ენობრივი ურთიერთგავლენების შედეგად ჩამოყალიბდა *gelet* დიალექტი *qeltu* დიალექტისგან განსხვავებული ენობრივი ნიშნებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოთქმაში *i-qibt* ემფატიკური უფულარი *qāf*-ი ჩაანაცვლა მჟღერმა, ველარმა *g* კონსონანტმა და მივიღეთ *i-ǧibt*. შემდგომში წარმოთქმაში *i-ǧibt*, *g* შეცვალა პალატარულმა, მჟღერმა *ǧ* აფრიკატმა. ველარი თანხმოვნის პალატალიზაცია ფონეტიკურად დასაშვებია მომთაბარე არაბთა მეტყველებისათვის. იგი ასევე ბუნებრივია ინგლისური ენისთვისაც. ასე მივიღეთ *i-ǧibt* (*Egypt*).

¹ თანამედროვე სალიტერატურო არაბულში რასის აღმნიშვნელი სალექსიკონო ფორმებია *ǧins* (მრ. *'aǧnās*), *'irq* (მრ. *'urūq*) და *'unṣur* (მრ. *'anāṣir*).

² სტროფი და ტაქვი პოემიდან მითითებულია ნოდარ ნათაძის 1996 წლის გამოცემის მიხედვით.

მოვიყვან სხვა ანალოგიურ მაგალითს: არაბთა გაერთიანებულ საამიროებში 7 საამიროა. ერთი მათგანია შარჯა (*Sharjah*). მისი არაბული სახელწოდებაა *aš-šāriqa* (الشارقة). შარჯელები მომთაბარე ბედუინების არაბულ დიალექტზე მეტყველებენ და მათი დიალექტი ახლოა *gelet* არაბულ დიალექტთან. ისინი *qāf*-ს წარმოთქვამენ მჟღერი *g*-ს სახით. შესაბამისად, ადგილობრივთა წარმოთქმაში ვლუბლობთ *aš-šāriqa*-ს. მომთაბარე არაბთა წარმოთქმაში *g* ჩაანაცვლა *š*-მ: *aš-šāriqa* > *sharjah* (შარჯა). უნდა ვივარაუდოთ რომ პარალელურად, ინგლისურ წარმოთქმაშიც, იგივე პროცესი განვითარდა. ამასთან ერთად სიტყვის პირველ *š* თანხმოვანთან ასიმილირებული განსაზღვრული *al*- არტიკლის თანხმოვანი ხმოვანთან ერთად დაიკარგა. მივიღეთ *sharjah*. საამიროს სახელი ასეთი წარმოთქმით გავრცელდა მთელ მსოფლიოში და ახლა საამიროებისა და სხვა არაბული ქვეყნების არაბებიც *aš-šāriqa*-ს ან *aš-šāriqa*-ს, ნაცვლად ინგლისურად შარჯას (*Sharjah*) წერენ და წარმოთქვამენ.

ალგორითმი (*algorithm*):

ტერმინი „ალგორითმი“ უკავშირდება IX საუკუნის გამოჩენილი მათემატიკოსის, მუჰამად იბნ მუსა ალ-ხვარიზმის (*muhammad al-musa al-xawārizmī* – محمد ابن موسى الخوارزمي) სახელს (ცნობილია ასევე, როგორც ალ-ხვარაზმი და ალ-ხორეზმი). იგი წარმოადგენს *al-x(a)wārizmī*-ს ლათინურ ენაში დამკვიდრებულ ფონეტიკურ ვარიანტს: *al-x(a)wārizmī* > *al-xwārizmī* > *al-xwarizmi* > *al-xorezmi* > *al-xorizmi* > *algorizmi* > *algoritm* (*Algorithm*). როგორც ვხედავთ, *algorithm* არის საკუთარი სახელის მათემატიკურ ტერმინად ჩამოყალიბების საინტერესო შემთხვევა, რაც განპირობებულია სპარსული წარმოშობის არაბულენოვანი მუსლიმი მეცნიერის განსაკუთრებული წვლილით მათემატიკის განვითარებაში. ალგორითმები გამოთვლებს უკავშირდება, რაც ესოდენ აქტუალურია თანამედროვე კომპიუტერული კვლევებისთვის. ის, რომ დღეს ციფრული სამყარო ალგორითმებზეა აგებული, მრავლისმეტყველია.

ალ-ხორეზმი აბასიანთა მმართველობის პერიოდში ბაღდადში ცხოვრობდა, მოღვაწეობდა სახელგანთქმულ „ბაით ალ-ჰიქმაში“, რომელიც შუა საუკუნეებში მეცნიერებისა და ფილოსოფიის ცენტრს წარმოადგენდა. მათემატიკის გარდა ალ-ხორეზმი არის ფუძემდებლური ნაშრომების ავტორი ასტრონომიასა და გეოგრაფიაში. 1145 წელს მისი ნააზრვის თარგმანმა ლათინურ ენაზე ბიძგი მისცა ევროპაში მათემატიკის განვითარებას. თარგმანის ავტორი ლათინურ ენაზე არის Robert of Chester (http://www.wilbourhall.org/pdfs/Robert_of_Chester_s_Latin_Translation_of.pdf).

ტერმინ ალგორითმში ალ- არაბული განსაზღვრული არტიკლია. ხორეზმი ხვარაზმელს ნიშნავს (*xwarazmī* – الخوارزمي). ხვარაზმი ცენტრალური აზიის სამხრეთში არსებული რეგიონი, ანუ დღევანდელი ხივაა. მუჰამად იბნ მუსა ალ-ხ(ა)ვარიზმი ხორეზმში დაიბადა 780 წელს. სიჭაბუკეში ბაღდადში გადავიდა და მთელი სიცოცხლე იქ გაატარა. გარდაიცვალა 850 წელს.

ალგებრა (*algebra*):

ბაღდადელი მათემატიკოსის, მუჰამად ალ-ხვარიზმის კალამს ეკუთვნის კლასიკური ნაშრომი სახელწოდებით „წიგნი ალგებრისა და ბალანსირების შესახებ“. სიტყვასიტყვითი თარგმანია: „მოკლე წიგნი გამოთვლების შესახებ შევსებისა და შეპირისპირების (ბალანსირების) მხრივ“ (الكتاب المختصر في حساب الجبر والمقابلة - *al-kitāb al-muxṭaṣar fī ḥisāb al-ğabr wa al-muqābala*). აქ ავტორის მიერ ნახსენები სიტყვა ალ-ჯაბრ არაბულიდან ითარგმნება, როგორც „შევსება“ („დაშლილი ნაწილების შევსება“), იგი წინადადებაში სიტყვის პრეპოზიციამი თანდართული *al*- განსაზღვრული არტიკლით არის წარმოდგენილი (*al-ğabr*). ამ სახით გავრცელდა ევროპაში ალგებრა, როგორც მათემატიკური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის აღმნიშვნელი ტერმინი მუჰამად ალ-ხ(ა)ვარიზმის ტრაქტატის ლათინურ ენაზე თარგმნის შემდეგ (*Liber Algebrae et Al-muqabala*). ეს ნაშრომი XVI

საუკუნემდე მათემატიკის ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენდა ევროპის უნივერსიტეტებში.

ალგებრაში ძირითად ამოცანას წარმოადგენს უცნობის ამოხსნა, რომელიც გამოხატულია x -ით. x გრაფიკულად უკავშირდება არაბულ თანხმომავს „შინ“ (ش). არაბულში არის სიტყვა *šayy'un*, რომლის მნიშვნელობაა „რაღაც“, „რაიმე“. ამ სიტყვის პირველი თანხმომავანია შინი (*šīn* ش). აქედან მომდინარეობს საყოველთაოდ ცნობილი უცნობის გამოხატველი იქსი (x), რომელიც ძველი ესპანურიდან, სადაც არაბული *šayy'* „უცნობს“ აღნიშნავდა, გავრცელდა დანარჩენ მსოფლიოში (Юшманов 1985, 25). არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. იგი ფიქსირდება 1909-1916 წლების ვებსტერის ლექსიკონში. განმარტების მიხედვით არაბულ შაი'უნს (*šayy'un*) საფუძვლად დაედო სიტყვის ბერძნული თარგმანის (*xei*) შეკვეცილი ფორმა x -ის სახით (<https://gizmodo.com/why-we-use-x-as-the-unknown-in-math-1657254357>).

ციფრი (zero):

ციფრის (*sifr* - صفر) არაბული მნიშვნელობაა „ნული“, „სიცარიელე“, „არაფერი“. საშუალო ლათინურში აღნიშნავდა „ნულს“, აქედან გავრცელდა ესპანურში, ხოლო შემდეგ ინდოევროპულ და სხვა ენებში. შდრ. ქართ. „ციფრი“.

ტრეფიკი (traffic):

ტრეფიკი (*traffic*) დღეს ფართოდ გავრცელებული ტერმინია. დაკავშირებულია მოძრაობასთან, ტრანსპორტთან, ხშირად, გადატვირთულ მოძრაობასთან. ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონში არის მინიშნება სიტყვის არაბულ წარმომავლობაზე, კერძოდ იგი ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია არაბულ *taraffaqa*-სთან: “*traffic, F. trafic, It. traffico, from trafficare (early 14 cent.); cf. Sp. Port. traficar. A Mediterranean word of uncertain origin. ? VL. *traficare, from trans and facere (cf. transigere, to transact), ? or Arab. taraffaqa, to seek profit. Now often with suggestion*” (Weekley 1924, 765). არაბული სიტყვის *taraffaqa*-ს მნიშვნელობა „აკეთებდა მშვიდად, აუჩქარებლად“ – ნაკლებად შეესაბამება *traffic*-ს. თუმცა Hans Wehr-ის ლექსიკონში არის ფრაზა *taraffaqa fi sairih* (ترقق في سائر) „მიაბიჯებდა (მისეირნობდა) ნელა, აუჩქარებლად“ (Wehr 1976, 351), სადაც გარკვეულწილად, არის ნიმიშნება მოძრაობაზე. სიტყვა *traffic* ფიქსირდება იტალიურში XIV საუკუნის დასაწყისში. 1320 წლის პიზის პორტის ჩანაწერებში გვხვდება სახელი *traffico* და ზმნური ფორმა *trafficare*. რაც შეეხება მის ეტიმოლოგიას, იგი არაბული წარმომავლობის უნდა იყოს და მისი კავშირი არაბულ *tafiq*-თან უფრო დამაჯერებელია (<http://www.dictionary.com/browse/traffic>).

ვფიქრობ, სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ სიტყვა *traffic*-ის არაბული წარმომავლობა და მომდინარეობა არაბული ზმნის *faraqa* (فرق) მეორე თემის (*farraqa*) მასდარიდან (*tafiq* - تفرق), რომლის მნიშვნელობაა „განცალკავება“, „დაშლა“, „დაშორიშორება“, „განაწილება“, „დისტრიბუცია“, ე.ი. ადამიანების და ტრანსპორტის გადაადგილება.

წარმოდგენილი სიტყვების ეტიმოლოგიები არის ილუსტრაცია არაბულსა და ევროპულ ენებს შორის ენობრივი ურთერთობებისა, რომელიც სათავეს იღებს უძველეს პერიოდში და მოიცავს შუა საუკუნეების წინარე და შემდგომ ხანგრძლივ პერიოდს. კვლევის გაგრძელება ამ მიმართულებით საინტერესო შედეგებს გვპირდება.

განხილული სიტყვები აღმოსავლურ-დასავლური კულტურულ-ისტორიული ურთერთობის დამადასტურებელია და მოწმობს დასავლურ ენობრივ სამყაროში არაბული ლექსიკის შენაკადის არსებობას. არაბული ლექსიკური შრე ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ და სხვა ევროპულ ენებში აღინუსხება ენის განვითარების სხვადასხვა დონეზე და გამოხატულებას ჰპოვებს კულტურულ, სამეცნიერო, გეოგრაფიულ, საზღვაო ტერმინოლოგიის დონეზე, ასევე საკუთარ სახელებსა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სიტყვებში. ბევრი დარწმუნებულია, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი ვერასდროს შეხვედებიან ერთმანეთს. დასტურად მოჰყავთ რედიარდ კიპლინგის სიტყვები, რომელიც

ამერიკელმა მწერალმა და პოეტმა წარუმიძვარა თავის ცნობილ „ბალადას დასავლეთსა და აღმოსავლეთზე“³. ვურჩევ მათ ბოლომდე ყურადღებით წაიკითხონ ეს ცნობილი ნაწარმოები, რომელიც ასე მთავრდება:

„ო, დასავლეთი დასავლეთია,
აღმოსავლეთი სხვაა ხნერი!
დარჩენა ასე, მიწას და ზეცას
არ განიკითხავს ვიდრე ციერი.
მაგრამ რას ნიშნავს ჯიში და მოდგმა,
რაა მამული, სისხლი, იერი,
როცა პირისპირ, როცა პირისპირ,
პირისპირ ხვდება ძლიერს ძლიერი!“ (კიპლინგი 1967, 32).

ზემოთ განხილული მასალა გვაჩვენებს, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი მრავალი საუკუნის წინ შეხვდნენ ერთმანეთს. მათი კავშირი დროთა განმავლობაში არ შეწყვეტილა და კულტურული ურთიერთობების და ურთიერთგავლენების შედეგად მასშტაბურად აისახა ენობრივ ურთიერთობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- რუსთაველი, შოთა. 1996. *ვეფხისტყაოსანი*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ამხსნელი მასალა და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ. თბილისი: მეცნიერება.
- კიპლინგი, რედიაარდ. 1967. *ლექები და ბალადები*. თარგმნა ინგლისურიდან მურმან ლებანიძემ. თბილისი: ნაკადული.
- Blank, Haim. 1964. *Communal Dialects in Baghdad*. Cambridge, Massachusetts.
- Britannica Concise Encyclopedia. 2006 by Encyclopaedia Britannica, Inc.
- Hitti, Philip K. 1970. *History of the Arabs*. London: Macmillan Education LTD.
- Potter, S. 1968. *Language in the Modern World*. Penguin Books.
- Robert of Chester's Latin Translation of the Algebra of al-Khowarizmi with an Introduction, Critical Notes and an English Version by Louis Charles Karpinski. 1915. University of Michigan, New York, The Macmillan Company, London: Macmillan and Company Limited
(http://www.wilbourhall.org/pdfs/Robert_of_Chester_s_Latin_Translation_of.pdf)
- Webster's New Collegiate Dictionary. 1973. A Merriam - Webster, G. & C. Merriam Company, Springfield, Massachusetts, U.S.A.
- Weekley, Ernest. 1921. *An Etymological Dictionary of Modern English*. London, John Murray, Albemarle Street, W.
- Wehr, Hans. 1976. *Arabic-English Dictionary. The Hans Wehr Dictionary of Modern Written Arabic edited by J. M. Cowan*. Ithaca New York: Spoken Language Services Inc.
- Блуменбах, И. Ф. 1817. *Руководство к естественной истории Д. Иоганна Фридриха Bluменбаха*, ч. 1–3, Санкт-Петербург: типография Императорской Академии наук.
- Юшманов, Н.В. 1985. *Грамматика литературного арабского языка*. Москва: Издательство Наука.
<http://www.dictionary.com/browse/race>
<http://www.dictionary.com/browse/traffic>
<https://gizmodo.com/why-we-use-x-as-the-unknown-in-math-1657254357>
http://www.literaryballadarchive.com/PDF/Kipling_2_B_of_East_and_West.pdf

³ “Oh, East is East, and West is West, and never the twain shall meet...” (აღმოსავლეთი აღმოსავლეთია, დასავლეთი კი დასავლეთი და ისინი არასდროს შეხვდებიან ერთმანეთს) Kipling, R., The Ballad of East and West
http://www.literaryballadarchive.com/PDF/Kipling_2_B_of_East_and_West.pdf